01 MAI

RUGACIUNEA 3

SF.REGINE

TAMARA A GEORGIEI

ლოცვა

ჰოდ, ქუეყანსა ზედა სამეუფოდთა მით პორფირითა ჩინებულო და აწ ცათა შინა ანგელოსთა თანა მოსაყდრეო, წმიდაო თამარ დედუფალო, მსწრაფლშეწევნადითა ლოცვითა შენითა განანათლე ღმრთივდაცული ერი ჩუენი და მეუფება მისი. განაძლიერე მსახურებასა და მოღუაწებასა შინა უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, დიდი მეუფე მამად ჩუენი ილია, ყოვლად სამღვდელონი მიტროპოლიტნი, მთავარეპისკოპოსნი, პატიოსანნი მღვდელნი, ქრისტესმიერ დიაკონნი, ყოველნი სამონაზვნონი წესნი და ყოველნი მართლმადიდებელნი ქრისტეანენი.

ჰოდ, კეთილმსახურებისა ხატო საკჳრველო, წმიდაო თამარ დედუფალო, გვიოხე წინაშე ღმრთისა, რადთა სინანულისა დადებისა მოწადინენი და წადილთა მით საღმრთოდთა აღძრულნი და სინანულისა ნაყოფთა მათ საცნაურთა გამომღებელნი, ჩუენცა შენთანა ვუგალობდეთ ცხოვნებისა ჩუენისა პირველშემსახველსა ღმერთსა, რომლისად არს სუფევად, ძალი და დიდებად, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.